KA021723831340816

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა

10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/43936

24 / აგვისტო / 2016 წ.

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრს"

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 23.08.2016წ. №MES 2 16 00979713 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ფართის იჯარის ფორმით გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, არ არის წინააღმდეგი აუქციონის წესით იჯარით გაიცეს წერილში მითითებული ფართი, იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული ფართი, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრს" გადაცემული აქვს კანონით დადგენილი წესით და იმ პირობით, რომ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში გაუქმებული იქნება საიჯარო ხელშეკრულება, რაც უნდა წარმოადგენდეს კოლეჯის მიერ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას.

ამასთან, საიჯარო ქირა უნდა განისაზღვროს საბაზრო ფასებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ლიცენზირებული აუდიტორის მიერ შედგენილი იჯარის თანხის ოდენობის დამდგენი გადაწყვეტილებით. ამ პირობათა დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის" მიერ დადებული იჯარის ხელშეკრულება განიხილება აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებულ გარიგებად.

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი გოგიჩაიშვილი